ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის, უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატის, ამირან კოპალეიშვილის უქიმერიონის და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების ამომრჩევლებთან საანგარიშო შეხვედრის

ო ქ მ ი N1

შეხვედრის დრო: 2022 წლის 22 ნოემბერი. 15:00 სთ.
შეხვედრის ადგილი: ქალაქი ქუთაისი,
რუსთაველის გამზირი N27

უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების ამომრჩევლებთან შეხვედრას უძღვებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი, საკრებულოს წევრი, ბატონი ამირან კოპალეიშვილი.

შეხვედრას ესწრებოდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის „უქიმერიონის“ ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ამომრჩევლები (100 მოქალაქე), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გია ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე პაატა ლილუაშვილი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე, მერის წარმომადგენელი „უქიმერიონის“ ადმინისტრაციულ ერთეულში ზაზა ჭელიძე, მერის წარმომადგენელი „გამარჯვების“ ადმინისტრაციულ ერთეულში მალხაზ აბაშიძე, მერის წარმომადგენელი „გუმათის“ ადმინისტრაციულ ერთეულში შალვა ლომთაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი თეონა მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ლია ჩახუნაშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა გახსნა შეხვედრა და წარმოადგინა ამომრჩევლებთან შეხვედრის დღის წესრიგი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის, უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატის, ამირან კოპალეიშვილის ანგარიში, 2022 წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის, უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატის, ამირან კოპალეიშვილის ანგარიში, 2022 წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს შესახებ.

ზემოაღნიშნულ საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბატონმა ამირან კოპალეიშვილმა: „მოგესალმებით, როგორც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი, ჩემი ვალდებულებაა წელიწადში ერთხელ მოსახლეობას წარვუდგინო ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. ჩემი ანგარიში დაყოფილია რამდენიმე ძირითადად მიმართულებად: 1.ინფრასტრუქტურა, 2. სოციალური საკითხები, 3. სამომავლო გეგმები. ვისაუბრებ უქიმერიონის სამაჟორიტარო ოლქში წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, კერძოდ, გზების, საყრდენი კედლების, ფასადებისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია, სკვერები, ტრენაჟორები და სხვა სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ა.შ. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე, რაც შეეხება გზებს-რეაბილიტაცია ჩაუტარდა ჭაბუკიანის ქუჩის II და IV, ლესელიძის ქუჩის III და V ჩიხებს, სანიაღვრე სისტემა მოეწყო ლესელიძის ქუჩიდან რუას ქუჩის N2-მდე, აღნიშნულ პროექტებზე დაიხარჯა 659 000 ლარი. ორმოულად დამუშავდა ბაგრატის ქუჩის III ჩიხი, ჩანჩიბაძის მონაკვეთი მე-6 სკოლის მიმდებარედ, ჯაჭვის ხიდი, დები იშხნელების და ჭონქაძის ქუჩები, ფაქტობრივად ახალი საფარი მოეწყო ვაჟა-ფშაველას VI ჩიხში და მის მიმდებარედ. საყრდენი კედლების კუთხით, უქიმერიონის მასშტაბით 11 ლოკაციაზე განხორციელდა ან ჯერ კიდევ მიმდინარეობს კედლების რეაბილიტაცია. მხოლოდ რუას ქუჩა N16ა-სთან არსებული საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მოგვიწია ხელშეკრულების გაწყვეტა და ტენდერის ხელმეორედ გამოცხადება შემსრულებლის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამო. რაც შეეხება ფასადებს, მიმდინარე წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა რუსთაველის გამზირზე N85,90,92,94-ში არსებულ ფასადებს, რაზეც ჯამში დაიხარჯა 602 000 ლარი. აღნიშნული პროგრამა ქალაქის მასშტაბით ბევრ ლოკაციაზე მიმდინარეობს, რისი საჭიროებაც დღის წესრიგში დადგა, როგორც ფასადების რეაბილიტაციის აუცილებლობით, ასევე ტურიზმის ხელშეწყობის კუთხით. ქალაქში ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია, როგორც გზების, ასევე ფასადების მოწესრიგება, რათა ღირსეულად წარვსდგეთ ჩვენი სტუმრების წინაშე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ქვედა უქიმერიონში უამრავ ლოკაციაზე გვაქვს მსგავსი ტიპის სამუშაოები ჩასატარებელი. რაც შეეხება სადარბაზოებს, მოგეხსენებათ, თვითმმართველობამ აღადგინა სადარბაზოების კაპიტალური რეაბილიტაციის პროექტი, უქიმერიონის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, აღნიშნული პროექტის ფარგლებში წელს ჩაისვა 12 სადარბაზო, რომელთა რეაბილიტაციაც წელსვე დაიწყება და მომავალი წლის დასაწყისში დასრულდება. მიმდინარე პროცესი დაგვიანდა, მოსამზადებელ სამუშაოებს მოსალოდნელზე მეტი დრო დასჭირდა, მოგეხსენებათ, აღნიშნულ პროექტში ფინანსურად მოსახლეობაც თანამონაწილეობს. უქიმერიონის ტერიტორიაზე წელს მოვაწყვეთ სკვერებიც, ერთ-ერთია რუსთაველის გამზირისა და ლაღიძის ქუჩის კვეთაზე არსებული სკვერი, რაზეც დაიხარჯა 235 000 ლარი, ასევე მოეწყო მინი სკვერები ცაცხვების ქუჩის N5 და N51-თან და მათზე დაიხარჯა ჯამში 89 000 ლარი, მიმდინრეობს აღმაშენებლის გამზირზე ე.წ. პალმების ხეივნის რეაბილიტაცია, რისთვისაც გამოყოფილია 2 657 000 ლარი. თავისუფალი ინიციატივის ფარგლებში უქიმერიონის ტერიტორიაზე განხორციელდა ორი პროექტი, ლესელიძის ქუჩაზე ისტორიული წყაროს რეაბილიტაცია და ჯავახიშვილისა და ბარნოვის ქუჩებს შორის არსებული კიბეების აღდგენითი სამუშაოები. ორი ტრენაჟორი განთავსდა კოღუაშვილის ქუჩა N5-თან და ლაღიძისა და რუსთაველის კვეთაზე არსებულ სკვერში. მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა ქალაქში, ეწყობა ჯომარდობის სტარტი და ფინიში. სტარტი მოეწყობა ლესელიძის II შესახვევში რიონის პირას, ვთვლი, რომ ეს ფაქტი ხელს შეუწყობს ამ სპორტის სახეობის განვითარებას, ხაზს გავუსვამ

იმ ფაქტს, რომ ჭომაში მცხოვრები ცალკეული სუბიექტების ინტერესი მაღალია, რაც გამოიხატება მათი აქტიური ჩართულობით, ზემოაღნიშნული გაზრდის ჭომაში ტურისტულ ინტერესს და ადგილობრივებისათვის ახალ შესაძლებლობებს შექმნის. აღნიშნულ პროექტზე დაიხარჯება 1 844000 ლარი. როგორც იცით, ამავე მისამართზე, ფუნქციონირებს ნიჩბოსნობის სკოლა და აქვე მინდა დავაანონსო, რომ ქუთაისის მერია გეგმავს ამ სკოლის რეაბილიტაციას, რომლისთვისაც გამოიყოფა 1 000 863 ლარი. ეს ორი პროექტი სასიცოცხლოდ მნიშვნელობანია ჩვენი ქალაქისათვის.

წლის მანძილზე ჩავატარეთ სხვადასხვა სახის სამუშაოები: გავწმინდეთ სანიაღვრეები, ვაწარმოეთ გადაბელვის სამუშაოები, რამდენიმე სოციალურად დაუცველ ოჯახს გადავეცით გადასახური მასალა, რამდენიმე კორპუსს გადავეცით წყალსატუმბი, N24 ბაგა-ბაღს ჩაუტარდა ფასადის რეაბილიტაცია, ორ კორპუსს ჩაუტარდა ლიფტების რეაბილიტაცია, ცალკეულ მისამართებზე მოწესრიგდა კანალიზაციის სისტემები.

მინდა შევეხო ტრანსპორტის თემას, თქვენ იცით, რომ ზედა უქიმერიონში განსაკუთრებით მოუწესრიგებელი იყო ტრანსპორტის საკითხი, ადგილობრივებს ემსახურებოდა კერძო სექტორი, რითაც მოსხლეობა უკმაყოფილო იყო, რაც გამოწვეული იყო მათი მოძრაობის განრიგითა და სამარშუტო ტაქსების ამორტიზირებულობით. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად ქუთაისის მერიამ გამოყო 1 მილიონი ლარი და შეიძინა 10 ერთეული მიკროავტობუსი, რომელთაგან დღეის მდგომარეობით ჭომა-გორა-გუმათს ემსახურება 5 ერთეული. მოწესრიგდა სვლების განრიგი, დაინერგა თანამედროვე გადახდის სისტემა და რაც ყველაზე მთავარია, ჩვენი მოსახლეობა ღებულობს გაუმჯობესებულ და კომფორტულ მომსახურეობას.

შევეხები სოციალურ თემას, როგორც იცით აღნიშნულთან დაკავშირებით საკმაოდ დიდი თანხა იხარჯება ჩვენი ბიუჯეტიდან, სამწუხაროდ ქალაქში ჯერ კიდევ არ გვაქვს სახარბიელო სოციალური ფონი, ამიტომ მომართვიანობა ხშირია, როგორც ჩემთან მაჟორიტარის რანგში, ასევე ქალაქის ხელისუფლებასთან. მომართვიანობა ძირითადად ეხება რამდენიმე მიმართულებას, პირველი- ერთჯერადი მატერიალური დახმარება (წელს 52 მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა და ჯამში გაცემულ იქნა 13250 ლარი) მეორე-სამედიცინო დახმარების პროგრამის ფარგლებში 1 180 000 ლარია გამოყოფილი და ჯამში 3100-მა მოქალაქემ ისარგებლა, რომელთაგან უქიმერიონში მაცხოვრებელია 262 მოქალაქე, მესამე- მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 280 000 ლარს, რითაც 1500-მდე მოქალაქემ ისარგებლა და მათგან უქიმერიონში მაცხოვრებელია 148.

მოგეხსენებათ, გახლავართ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ჩემი კომისია თავის საქმიანობის ფარგლებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ფულადი სახსრების მობილიზაციის, ბიუჯეტის შემოსავლების მიზნობრივად განკარგვის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების დადგენის, საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვას. საკრებულოს სხდომამდე, აქტიურად იხილავს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს და შესაბამის დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს ბიუროს სხდომას. კომისია უზრუნველყოფს ამა თუ იმ უძრავი, ან მოძრავი ქონების ორგანიზაციისათვის, ან ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის გადაცემის შესახებ პროექტების დამუშავებასა და დასკვნების მომზადებას. სერიოზული ყურადღება ეთმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულებების პროექტების განხილვას. ასევე

კომისიის საქმიანობას წარმოადგენს მის კომპეტენციაში შესული სამსახურების მონიტორინგი და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის მოსმენა. დღემდე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას ჩატარებული აქვს 14 სხდომა, განხილულია 91 საკითხი (ყოველი საკითხი მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისათვის), ყველა საკითხზე შემუშავებულ იქნა დასკვნები და მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები, საკითხებს შორის არის რგფ-თან მოსაწონებლად გადასაგზავნი წინადადებების ნუსხა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ჩემთვის, რადგან ამ დოკუმენტით ხდება მომავალი წლის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვა, გარდა ამისა, მერია საკუთარი სახსრებითაც ახორციელებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, რომელიც ასევე შედის ჩვენი კომისიის კომპეტენციაში.

მოდის ახალი 2023 წელი და ჩვენ გვაქვს მზაობა ხელისუფლებიდან, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, რეგიონალური განვითარების ფონდიდან, რომ განხორციელდეს კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ქალაქისათვის. კომუნიკაციის პრობლემა არ გვაქვს და ყოველთვის ვიქნები თქვენს სამსახურში.“

აზრი გამოთქვეს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „მოგესალმებით, მადლობას მოგახსენებთ დროის გამონახვისა და აქ მობრძანებისათვის, რათა მოისმინოთ თქვენი მაჟორიტარი დეპუტატის მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შეჯამება, გარდა იმისა, რომ თითოეულ დეპუტატს აქვს პასუხისმგებლობა ყოველდღიურად უშუალო კომუნიკაციაში იყოს მოსახლეობასთან და მოისმინოს მათი საჭიროებები, ამასთანავე მთავარია ანგარიშვალდებულება თქვენთან, სწორედ თქვენ, მოსახლეობა წარმოადგენთ ჩვენი საქმიანობის დამკვეთს, ვფიქრობ დღევანდელი შეხვედრა ემსახურება იმ მნიშვნელობან თემასაც, რასაც უკუკავშირი ჰქვია, უნდა მოვისმინოთ ის საკითხები, რომელიც რეალურად გაწუხებთ, სოციალური თუ ჯანდაცვის, იგივე საარსებო გარემოს გაუმჯობესების კუთხით და შესაბამისად მივიღოთ ინფორმაცია რა საჭიროების ირგვლივ უნდა გავაძლიეროთ ყურადღება წარმომადგენლობით რგოლში იმისათვის, რომ თქვენი ხმა იყოს აქტიური და ეს ხმა შემდგომში მივიტანოთ აღმასრულებელთან. მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ამირანს, უშუალო ჩართულობისათვის, იგი საკმაოდ მნიშვნელოვან დარგობრივ კომისიას ხელმძღვანელობს, აქტიურია როგორც მაჟორიტარულ, ასევე კომისიურ ფორმატში, მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ბაქარ მახარაძეს, კომისია, რომალსაც ის ხელმძღვანელობს მთავარი დოკუმენტის ირგვლივ მსჯელობს, რომელშიც ასევე თქვენი საჭიროებები აისახება, ბატონი ბაქარი აქტიურად არის ჩართული ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში და მადლობას ვუხდი ასევე პარტიული კუთხითაც, რაც შეეხება ბატონ გია ბასილაძეს, საკრებულოში მოსვლის დღიდან მისი კარი ღიაა მოქალაქეებისათვის, ნებისმიერ საკიხთან დაკავშირებით. მოქალაქეებთან უშუალო კომუნიკაცია არის ნამდვილად ის პრიორიტეტი, რომელიც საკრებულოს გააჩნია და ამ პრიორიტეტის ნაწილში, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ამავდროულად პარტიის თავმჯდომარე, მისი მოღვაწეობა არის ძალიან მნიშვნელოვანი, მე ნამდვილად სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ბატონი გიას მუდმივი კომუნიკაცია მოსახლეობასთან ყოველთვის კონკრეტულ შედეგამდე მიდის. მადლობა ბატონ პაატა ლილუაშვილს, რომელიც აქტიურად არის ჩართული ინფრასტრუქტურულ ნაწილში, ეს იქნება ქალაქში რაიმე მნიშვნელოვანი ობიექტის თუ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაშიც მას მრავალწლიანი გამოცდილება ეხმარება, შესაბამისად ზრუნავს იმისათვის, რომ ქალაქში შეიქმნას ახალი სივრცეები, რომლებიც მიმზიდველი იქნება, როგორც

ტურისტებისათვის, ასევე მოქალაქეებისათვის. ქალაქში გვაქვს ძალიან ბევრი გამოწვევა, რომლის მოგვარებაც ურთიერთკომუნიკაციის მეშვეობით არის შესაძლებელი."

მოქალაქე **ჯუმბერი მახათაძე:** „რუსთაველის გამზირი N96-ში ბინის ფასადი არის გასაკეთებელი და როდისთვის იგეგმება?"

ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ეტაპობრივად ყველა გაკეთდება აუცილებლად."

მოქალაქე **გრიშა რატიანი:** „მადლობა მინდა გადავუხადო, როგორც ქალაქის ხელმძღვანელობას, ასევე სარემონტო სამუშაოებში დასაქმებულ თოთოეულ პირს."

მოქალაქე **ლელა ნაცვლიშვილი:** „მაინტერესებს, რა ბედი ეწევა ე.წ საგიჟის შენობას და მიმდებარე ტერიტორიას?"

ბატონი **ბაქარ მახარაძე:** „აღნიშნული შენობა აუქციონზე ორჯერ იყო გამოსული და ტენდერი ორჯერვე ჩავარდა, შეფასებულია 1040 000 ლარად, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ ვერავინ შეიძინა."

ბატონი **ირაკლი შენგელია:** „ეს შენობა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას და ვგეგმავთ მის პრივატიზებას, რადგან შემდეგ რა მიმართულებითაც ენდომება მეპატრონეს განავითაროს და მოაწესრიგოს ის ტერიტორია, თუმცა პრობლემა აქ ტენდერის ჩავარდნაა, ჯერჯერობით მსურველი არ გამოჩნდა."

მოქალაქე **ნატო მამალაძე:** „თუ იგეგმება უახლოეს მომავალში მიკროავტობუსების დამატება ჭომის დასახლებაში?"

ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ამ ეტაპზე რაოდენობის დამატება სამწუხაროდ არ იგეგმება, თუმცა საუბარია გრაფიკის სიხშირის გაზრდაზე."

ამით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ეკონომიკის, ქონების მართვის და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის, უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატის, ამირან კოპალეიშვილის უქიმერიონის და გუმათის ადმინისტრაციული ერთეულების ამომრჩევლებთან საანგარიშო შეხვედრა დასრულდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წევრი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო
მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
უქიმერიონისა და გუმათის ადმინისტრაციული
ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატი

ამირან კოპალეიშვილი